

**ა(ა)იპ. საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის**

**პროფესიული მოდულური პროგრამების განხორციელების
მიზანშეწონილობა**

1. წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი ზემო აჭარაში ერთადერთი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, პროფესიულ მოდულურ პროგრამებს ახორციელებს. ეს გარემოება ზემო აჭარის ახალგაზრდობას აძლევს კარგ სტიმულს და განვითარების შესაძლებლობას, გეოგრაფიულად ახლოს მიიღოს პროფესიული განათლება.
2. ზემო აჭარის მუნიციპალიტეტები, მაგალითად ხულოს მუნიციპალიტეტი ბათუმიდან 90 კმ, ხოლო შუაქვეის მუნიციპალიტეტი 60 კმ-ითაა დაშორებული. ეს ზემო აჭარის ახალგაზრდებისათვის, განათლების მიღების თვალსაზრისით, გარკვეულ დაბრკოლებასაც აჩენს. „ტბელის უნივერსიტეტის“ გეოგრაფიული მდებარეობა კი მათთვის ხელსაყრელია, ახლოსაა და გადაადგილების თვალსაზრისით მოსახერხებელია. ეს გარემოება ზემო აჭარის ახალგაზრდობას აძლევს კარგ სტიმულს და განვითარების შესაძლებლობას, გეოგრაფიულად ახლოს მიიღოს პროფესიული განათლება.
3. უნივერსიტეტის ბაზაზე პროფესიული პროგრამების განხორციელების ერთ-ერთი არგუმენტი მაღალი აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი. პროფესიული პროგრამების სწავლების განმხორციელებელი ძირითადად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია. ეს გარემოება ხელს უწყობს პროფესიული განათლების ხარისხს, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და არსებითი მახასიათებელია.
4. უნივერსიტეტმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაცია გაიარა 2016 წელს (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 24). იმთავითვე შერჩეული იყო შემდეგი პროგრამები: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, ბუღალტერი, პრაქტიკოსი ექთანი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდამჭერი სპეციალისტი. იმთავითვე ეს პროგრამები მოდულური იყო, თუმცა შემდგომ პროგრამებმა მოდიფიცირება განიცადა, დაიხვეწა. ეს პროცესი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უშუალო მხარდაჭერით ხორციელდებოდა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გარე მხარდაჭერამ. შედეგად უნივერსიტეტს აქვს მოქნილი პროფესიული პროგრამები. 2019 წლისათვის ავტორიზაციის მიზნებისათვის უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს შემდეგი პროფესიული პროგრამები: ბუღალტრული აღრიცხვა, საექთნო განათლება, „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“. აღნიშნულის პარალელურად მიღევად რეჟიმშია ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდამჭერი სპეციალისტის პროფესიული პროგრამა.
5. პროფესიულ განათლებას თანამედროვეობაში სახელმწიფოს მხრიდანაც დიდი ყურადღება ექცევა და მოთხოვნილებაც იზრდება. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს „საექთნო განათების“, „ბუღალტრული აღრიცხვის“ და **“სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი”** პროფესიული პროგრამები, რომელთა მიზანშეწონილობაც ზემო აჭარაში უფრო მეტად გამოკვეთილია.
- 5.1. უნივერსიტეტში რამდენიმე წელი ფუნქციონირებდა საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე მიღევად რეჟიმში, როგორც აღინიშნა, მოქმედებს „პრაქტიკოსი ექთნის“ პროფესიული პროგრამა. ამ მიმართულების კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი დასაქმებულია მიღებული სპეციალობის - მედდა-პრაქტიკოსი ექთნის შესაბამისად. ამ მიმართულებით „ტბელის უნივერსიტეტის“ რამდენიმე კურსდამთავრებული არის ღვიძლის გადანერგვის გუნდის წევრი. არსებულ გამოცდილებასთან ერთად, „საექთნო განათლების“ ახალი მოდულური პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას ზრდის ზემო აჭარაში არსებული მოთხოვნები ექთნის სპეციალობაზე. დღეისათვის მაღალმთიანი აჭარა კვლავ განიცდის ექთნის სიმცირეს. ხშირია შემთხვევები,

როცა სტაციონარში და სასწრაფო დახმარების გამოძახებებზე ექიმი ექთნის გარეშე მუშაობს. არათუ ზემო აჭარაში, არამედ ექთნის სიმცირე ქალაქ ბათუმის პირობებშიც, ქალაქის საავადმყოფოებშიც თვალშისაცემია, რის დასტურიცაა, რომ ერთი ექთანი რამდენიმე - 3-4 საავადმყოფოში მუშაობს. ქალაქ ბათუმის დემოგრაფიულ ზრდასთან ერთად თანდათანობით ახალი საავადმყოფოებიც იხსნება და ეს გარემოებაც ზრდის მოთხოვნილებას ექთნის სპეციალობაზე. აღნიშნული პროფესიული პროგრამის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით მნიშვნელობანი არგუმენტია „ტბელის უნივერსიტეტის“ გეოგრაფიული მდებარეობა. ზემო აჭარის სოფლები გეოგრაფიულად ფართოდაა გაშლილი და რაიონული ცენტრებიდანაც დაშორებულია. ეს გარემოება საექთნო მომსახურების საკითხს ერთგვარად ართულებს, რამდენადაც კომუნიკაცია დიდ დროს და ენერჯიას მოითხოვს. არსებული რეალობიდან გამომდინარე სახეზეა. რომ ერთი ექთანი რამდენიმე სოფელს ემსახურება, მიუხედავად ასაკისა, რომელიც არაა დიფერენცირებული. ანუ ექთანი ემსახურება მოსახლეობას ჩვილობის ასაკიდან ხანდაზმული ასაკის ჩათვლით. ამ პრობლემასთან დაკავშირებით საუბარია, რომ დიფერენცირებული გახდეს ბავშვთა საექთნო მომსახურება, ანუ ცალკე არსებობდეს ოჯახის ექიმი ბავშვებისათვის და ცალკე ოჯახის ექიმი მოემსახუროს მოზრდილი ასაკის მოსახლეობას. ეს გარემოება ზრდის მოთხოვნილებას ექთნის სპეციალობაზე და მივიჩნევთ, რომ სწორი იქნება თუ „ტბელის უნივერსიტეტი“ ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას მიიღონ შესაბამისი სამედიცინო განათლება და დასაქმდნენ ადგილობრივ.

5.2. ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ჯანსაღი პირობების შექმნა და საზოგადოებაში დამკვიდრება სისტემატიურად თხოულობს სხვადასხვა სახის ფინანსურ ინფორმაციას ეკონომიკური ხასიათის ამა თუ იმ გადაწყვეტილებების მისაღებად. ქვეყანაში ფინანსური სიძლიერის ქვაკუთხედად ბიზნესის დაწყება და მისი წარმართვა გახდა. ადამიანები უფრო მეტად ცდილობენ შექმნან საკუთარი შემოსავლის წყარო და ისწრაფვიან ფინანსური დამოუკიდებლობისაკენ. ბიზნესის ენის შესწავლისათვის კი აუცილებელია ინფორმაცია, რომლის მიღების ძირითადი წყაროც არის აღრიცხვა მთელი მისი სახეებით. ბუღალტრული აღრიცხვა იძლევა ციფრებს, რომლებსაც ამეტყველება სჭირდებათ და რომლებზე დაყრდნობითაც მიიღება გადაწყვეტილებები. ბუღალტრის პროფესიის სრულყოფილი დაუფლება შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ ბიზნესის ფინანსურ-ეკონომიკური შინაარსი. ბუღალტრებს კი სპეციალური მომზადება სჭირდება ისეთი კუთხის საინფორმაციო წყაროების მიღების უზრუნველყოფისათვის, როგორც არის ზემო აჭარა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ერთ-ერთ ეკონომიკურად და პოლიტიკურადაც სტრატეგიულ კუთხეს - აჭარას ადგილზე მოვუმზადოთ ბუღალტრის პროფესიის სპეციალისტები, რომლებსაც ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ეცოდინებათ „ბიზნესის ენა“ და შეეძლებათ დაინტერესებულ მხარეებს დროული ინფორმაციები მიაწოდონ ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის წარმართვაში. თანამედროვე ზემო აჭარისათვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ტურიზმზე ორიენტირება, გარდა იმისა, რომ სახელმწიფო დაინტერესებულია და ქმნის აჭარის მთაში სხვადასხვა სახის ტურისტულ ადგილებს, ამ პროცესს ახლავს საოჯახო სასტუმროების ქსელის ეტაპობრივი გაფართოება, ადგილობრივი მოსახლეობა ჩართულია სავაჭრო ურთიერთობებში და ცდილობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მაქსიმალურად დაუახლოვოს თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებს. მეორეს მხრივ ამ პროცესებმა ზემო აჭარის რაიონული ცენტრებისა და დიდი სათემო ერთეულების მიმართ საბანკო სექტორის დაინტერესებაც წარმოშვა და ისინი საკუთარ ფილიალებს აარსებენ ზემო აჭარაში. ზემოთ ჩამოყალიბებული წინაპირობები ხელს იწყობს, რომ ახალმა თაობამ, გარდა უმაღლესისა, პროფესიული განათლებითაც, მათ შორის „ბუღალტრული აღრიცხვის“ სპეციალობით დაინტერესდეს და დაეუფლოს ბუღალტრის პროფესიას. ამით მათ ეძლევათ დასაქმდნენ საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს, გაიუმჯობესონ სოფლად ცხოვრების პირობები და აიმაღლონ ცოდნა თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრების შესახებ.

5.3. სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის მომზადების პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას განაპირობებს სკოლამდელი განათლების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნევა.

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება, ინფრასტრუქტურის გამართვა და სკოლამდელი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის განხორციელება მოითხოვს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტებს, მათ შორის ზემო აჭარაშიც, სადაც 50 - ზე მეტი მოქმედი ბაგა - ბაღია, იგეგმება ჯგუფების გახსნა, ახალი ბაგა - ბაღის შენობების აგება.

დასაქმების შესაძლებლობების შესწავლისას გაირკვა, რომ აღმზრდელის, ასევე პედაგოგის, თანამდებობა უჭირავთ არასპეციალისტებს, რომელთა ერთ ნაწილს გავლილი აქვს ტრენინგები. გამოთქვამენ აღმზრდელის პროფესიის მიღების სურვილს. სოფლებში არიან საშუალო განათლების პირები, რომელთაც სურთ პროგრამის გავლა, რაც მათ დასაქმების საშუალებას მისცემს. მსურველები არიან აჭარიდან სხვადასხვა რეგიონებში ჩასახლებული პირები, რომელთა წარმომადგენლებია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, დაინტერესდნენ პროგრამით და განახლებული კვალიფიკაცია მათთვის საჭირო და მისაღები აღმოჩნდა.

მშობლებთან შეხვედრები ცხადყოფს, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა, სურთ მათ მცირეწლოვან შვილებთან კვალიფიციური პროფესიონალები მუშაობდნენ.

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც დარგის განვითარებას, ასევე დასაქმების გაუმჯობესებას, კვალიფიციური ადამიანური რესურსების დეფიციტის აღმოფხვრას, რაც მთავარია პროგრამა განაპირობებს შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფას, სადაც აქცენტი ზრუნვასთან ერთად აღმზრდელობით განათლების კომპონენტებზე იქნება გადატანილი. სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელები ცოდნას და დაეუფლებიან პროფესიული უნარების ახალი მიდგომების, ახალი სტანდარტების მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის ხარისხს გაუმჯობესებს მათალ მთიან რეგიონში.

- 5.3.1. წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მიღევად რეჟიმში ფუნქციონირებდა პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა „**ბაგა ბაღის აღმზრდელი პედაგოგი**“. ამ ეტაპზე ამ პროგრამაზე გვყავს სტატუსშეჩერებული 12 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც დამთავრების რეჟიმში არიან და აღნიშული პროფესიული პროგრამის დამატების მიზანშეწონილობას ეს გარემოებაც განაპირობებს. მეორეს მხრივ საბავშვო ბაგა-ბაღებში გარდა „აღმზრდელისა“ არსებობს „პედაგოგის“ თანამდებობაც, რაც გარკვეულწილად განაპირობებს ამ პროგრამაზე მოთხოვნასაც. რამდენადაც „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ პროფესიული პროგრამა განვაახლებთ მიზანშეწონილად მივიჩნევთ მასზე ერთი ნაკადის კვლავ მიღებას.